საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-637

10/05/2021

ქ. თბილისი

„ზემო იმერეთის რეგიონში, საჩხერის მუნიციპალიტეტში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის „საჩხერე-ქვემო ხევი-უზუნთა-შქმერი-ზუდალის კმ. 10.6 - კმ 20.6 მონაკვეთის (ლოტი III) მშენებლობა-რეკონსტრუქციისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 25 იანვრის N 2-81 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

„ზემო იმერეთის რეგიონში, საჩხერის მუნიციპალიტეტში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის „საჩხერე-ქვემო ხევი-უზუნთა-შქმერი-ზუდალის კმ. 10.6 - კმ 20.6 მონაკვეთის (ლოტი III) მშენებლობა-რეკონსტრუქციისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 25 იანვრის N 2-81 ბრძანებით გაიცა სკოპინგის დასკვნა №3 (15.01.2019).

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, თუ საქმიანობის განმახორციელებელი სკოპინგის დასკვნის დამტკიცებიდან 2 წლის ვადაში ვერ მიიღებს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას ამ კოდექსით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად, სკოპინგის დასკვნის დამტკიცების შესახებ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალადაკარგულად ცხადდება.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის მე-7 ნაწილის და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ზემო იმერეთის რეგიონში, საჩხერის მუნიციპალიტეტში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის „საჩხერე-ქვემო ხევი-უზუნთა-შქმერი-ზუდალის კმ. 10.6 - კმ 20.6 მონაკვეთის (ლოტი III) მშენებლობა-რეკონსტრუქციისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 25 იანვრის N 2-81 ბრძანება;
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს;

3. ბრძანება ძალაში შევიდეს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და საჩხერის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოების საინფორმაციო დაფებზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი